# ახალი ხარაგაული

300 (27) 12 ოქტომბერი, 2015 წ


## ცენტრი „ულიჩინარი" მაღალკვალიფიციურ მომსახურებას გთავაზობთ



ხარაგაულში კიკნაძის ქ. №11-ში (რკინიგზის სადგური) ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი „ულიჩინარი" უკვე ორი თვეა ფუნქციონირებს. ცენტრი თანამედროვე ტიპის აპარატურითაა აღჭურვილი და პაციენტებს კომფორტულ გარემოს სთავაზობს. კლინიკაში მკურნალობა ტარდება შემდეგი სახის დაავადებებზე: ინსულტის შემდგომი რეაბილიტაცია, სქოლიოზი, ხერხემლის თიაქარი, ბრტყელი ტერფი, ხერხემლის გამრუდება, დაუნის სინდრომი, ცერებრალური დამბლა, ტრავმების შემდგომი რეაბილიტაცია, რაქიტი, სპორტული და კლასიკური გამაჯანსაღებელი მასაჟი. კლინიკის შესასვლელში მოწყობილია სპეციალური პანდუსი.

ცენტრში მოგემსახურებათ მაღალკვალიფიციური ექიმი - რეაბიტოლოგები, მირზა ინასარიძე და შმაგი კიკნაძე, რომელთაც ამ კუთხით მუშაობის 4 წლიანი გამოცდილება თურქეთში აქვთ მიღებული.

**დაინტერესების შემთხვევაში დარეკეთ შემდეგ ნომრებზე:**

**568 64 62 67; 597 22 87 89**

**კონსულტაცია უფასოა.**

## ხიდარში ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა



1 ოქტომბერს იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის პირველმა მოადგილემ პაატა ნადირაძემ და ხარაგაულის გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა მუნიციპალიტეტში დასრულებული მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები გახსნეს. ხარაგაულის რაიონში ორი სოფლის დამაკავშირებელ გზას სრული რეაბილიტიცია ჩაუტარდა. კიცხი–ხიდრის 6 კმ–იანი მონაკვეთის მშენებლობისთვის რეგიონული განვითარების ფონდიდან მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. აღნიშნული გზის მონაკვეთი ამ დრომდე მოუწესრიგებელი იყო, ახლა კი ადგილობრივებისთვის გადაადგილება უფრო კომფორტული გახდება, ასევე, შემცირდება მგზავრობის დრო და ხარჯები. ამავე დღეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდარში ახალი საბავშვო ბაღი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. სოფელში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებამ წელს პირველად დაიწყო ფუნქციონირება. ბაღი 25 ბავშვზეა გათვლილი და მასში 10–ზე მეტი ადგილობრივია დასაქმებული. განხორციელებელი სამუშაოებისათვის ცენტრალური ბიუჯეტიდან 101 661 ლარი დაიხარჯა. ხარაგაულში ბოლო ორი წლის განმავლობაში 8 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება აშენდა, წლის ბოლომდე კიდევ 2 ბაღის გახსნა იგეგმება. ხიდრის საბავშვო ბაღის ეზოში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა სიმბოლურად ნერგები დარგეს. საბავშო ბაღის აღსაზრდელებმა, ადგილობრივი და სამხარეო ხელისუფლები წარმომადგენლებისაგან საჩუქრებიც დაიმსახურეს. გუბერნატორის პირველმა მოადგილემ საბავშვო ბაღს პირადად გადასცა ხატი და მარადჟამს მისი მფარველობა უსურვა.

,, დღეს ძალიან ლამაზი დღეა. ვიმყოფებით ხარაგაულის რაიონის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ ხიდარში, სადაც კიდევ ერთი საბავშვო ბაღის გახსნას დავესწარით. ასევე სოფელში დაიგო 6 კმ-იანი გზა და აშენდა სარიტუალო დარბაზი. ვულოცავ ამ სიკეთეს ხიდრის მოსახლეობას. როგორც ვიცი აქ კიდევ იგეგმება სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება"- აღნიშნა გუბერნატორის პირველმა მოადგილემ პაატა ნადირაძემ.



კომენტარი გააკეთა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა და ხაზი გაუსვა იმას, რომ მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის ბაღების მშენებლობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია- ,,სოფელში არ იყო გზა, არ ჰქონდათ საბავშვო ბაღი, მოსახლეობა ასევე ითხოვდა სარიტუალო დარბაზს. დღეს ჩვენი ძალისხმევით და ცენტრალური ხელისუფლების დახმარებით ყველა ეს პრობლემა გადაჭრილია. ზოგადად, ბაღების მშენებლობის ტენდენცია ჩვენს მუნიციპალიტეტში გრძელდება და შევძლებთ იმას, რომ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში იყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება. ჩვენი ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ მომავალ თაობას ღირსეული აწმყო შევუქმნათ."

ხიდრის მაჟორიტარი დეპუტატი, ნონა ზურაბიანი,მადლობას უხდის ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებს იმისათვის, რაც ხიდრის ადმინისტრაციულ ერთეულში გაკეთდა და აქვე დასძენს, რომ ყოველივე ეს ხელს შეუშლის სოფლიდან ქალაქისკენ მიგრაციის პროცესს.

,,სოფელი ნელ-ნელა იცლებოდა. აქედან გამომდინარე მთელი სოფლის მოთხოვნა იყო საბავშვო ბაღის აშენება" - ამბობს გამგებლის წარმომადგენელი ხიდრის ადმინისტრაციულ ერთეულში და აქვე განმარტავს, რომ კიცხი-ხიდრის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება ნამდვილად საუკუნის პროექტია.

სკოლაში სასწავლო სააღმზრდელო პროცესი დიდად არის დამოკიდებული, თუ როგორ ნაკადს მივიღებთ. ბავშვებს, რომლებსაც არ ჰქონდათ გავლილი საბავშვო ბაღის პროგრამა, სკოლასთან შეგუების პროცესი ურთულდებოდათ. ამიტომ ჩემი დიდი სურვილი იყო ხიდარს საბავშვო ბაღი ჰქონოდა. ეს სურვილი ამისრულდა. მადლობა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და ყველა იმ ადმიანს ვინც ხიდარში ასეთი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში შეიტანა წვლილი"- განაცხადა ხიდრის საჯარო სკოლის დირექტორმა ეთერ პაპავამ.

ეკა შავიძე

## ბიუროს სხდომაზე 12 ოქტომბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი დამტკიცდა



8 ოქტომბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარემ, ინგა მაღრაძემ 12 ოქტომბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის განხილვისას ერთ-ერთ საკითხად საკრებულოს აპარატში ორი საშტატო ერთეულის ამოქმედება მოითხოვა. ბიუროს წევრებმა აღნიშნული მოთხოვნა უარყოფითად შეაფასეს და საკითხი 12 ოქტომბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგიდან მოიხსნა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილი კატეგორიულად ეწინააღმდეგება დამატებით კიდევ ორი საშტატო ერთეულის ამოქმედებას საკრებულოში, ვინაიდან, მისი განმარტებით, ეს აუცილებლობით არ არის გამოწვეული და წლის ბოლოს ამ ხარჯის გაწევა მიზანშეუწონლად მიაჩნია.

ვარლამ ჭიპაშვილმა ინგა მაღრაძეს მის მიერ გაკეთებული განცხადებები შეახსენა, სადაც ის ბიუჯეტის ფინანსური რესურსის გონივრულად დახარჯვაზე და კადრების შემცირებაზე საუბრობდა. „ქალბატონო ინგა, ასეთი ქმედებებისთვის სხვებს აკრიტიკებთ. გამოდის, რომ თქვენ მიერ გაკეთებული განცხადებები პოპულისტური იყო. მრჩება შთაბეჭდილება, რომ დღემდე დემოკრატიულობანას თამაშობდით. ჩვენ პირიქით შტატების შემცირებაზე თუ ვიფიქრებთ უმჯობესია.ვეჭვობ,რომ ამ შტატების გააქტიურებას კონკრეტულად განსაზღვრული პიროვნებების დასაქმების მიზნით აპირებთ. თითოეული თეთრი გონივრულად უნდა დავხარჯოთ. თქვენ კი ამ დროს შტატგარეშე თანამშრომლები აიყვნეთ, აპარატის თანამშრომლები პრემიებით გაახარეთ რამდენჯერმე, ახლა კიდევ გინდათ დაამატოთ კადრები.ეს უკვე მეტისმეტია.უმჯობესი იქნება ეს თანხა მოსახლეობის სოციალური პრობლემების მოგვარების მიზნით დავხარჯოთ.-აღნიშნა ვარლამ ჭიპაშვილმა.

საკრებულოს თავმჯდომარე ინგა მაღრაძე საკრებულოს აპარატში კადრების დამატების აუცილებლობას ასე განმარტავს: „აღნიშნული კადრები საკრებულოს აპარატის საშტატო ერთეულში გათვალისწინებული იყო. ჩვენ ახლა მათი ფუნქციების ამოქმედება გვინდა. დღემდე ამ კადრების საჭიროებას ვერ ვხედავდით, დღეს ამის აუცილებლობა დადგა".

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მორიგ სხდომაზე 12 ოქტომბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი დაამტკიცეს.

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესის დამტკიცების შესახებ;

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიური პირობების მქონე მოქალაქეებზე მატერიალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ ცვლილებების შეტანის თაობაზე;

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ ცვლილებების შეტანის თაობაზე;

4. არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების წესდებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ ბათილად გამოცხადების შესახებ;

## მაჟორიტარი დეპუტატები ამომრჩევლებს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს 1 ნოემბრამდე წარუდგენენ

5 ოქტომბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გაიმართა. დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები განიხილეს. საკრებულოს წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. ამავე დღეს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარუდგინა კოლეგებს ფრაქცია ,,ქართული ოცნება- მრეწველების" თავმჯდომარემ, იუზა კელენჯერიძემ. სხდომაზე გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა, მალხაზ ფხალაძემ, „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის" ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით დაგეგმილი საპროექტო წინადადებების შეთანხმების შესახებ ვრცლად ისაუბრა.

ანგარიშის წარდგენისას, ბატონმა იუზა კელენჯერიძემ ყურადღება გაამახვილა ხარაგაულში სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, ამ კუთხით მნიშვნელოვანი იყო „კიცხის სანერგე მეურნეობაში" გამოყვანილი 6 000 ძირი ცოლიკაური, რომელიც სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს გადაეცათ. იუზა კელენჯერიძემ ასევე ისაუბრა, ხარაგაულში მსხვილფეხა პირუტყვის სასაკლაოს ე.წ ,,ბოინის" მოწყობის აუცილებლობაზე, რომლის გაკეთებაც პირველ ეტაპზე ვერ განხორციელდა.

დეპუტატებს შორის აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა საკრებულოს რეგლამენეტში ცვლილებების შეტანის საკითხს, რომლის მიხედვითაც დეპუტატი ვალდებულია წელიწადში ერთხელ, 1 ნოემბრამდე მოსახლეობას ჩააბაროს ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. აღნიშნული საკითხის წინააღმდეგ გამოვიდნენ საკრებულოს წევრები, რომან შერგელაშვილი და ჯამბულ გამცემლიძე. როგორც რომან შერგელაშვილმა განაცხადა, ამ საკითხზე არ უმსჯელია იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიას, შესაბამისად რეგლამენტის დარღვევით გასული საკითხი ბათილია.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, საკრებულოს სხდომაზე სოფელ ბაზალეთში მიმდინარე გარე განათების ქსელის მოწყობაზე ისაუბრა. გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებს ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობა" ასრულებს. ვარლამ ჭიპაშვილის ინფორმაციით, იმ ადგილებზე, სადაც ნათურების დამონტაჟება მიმდინარეობს ახლად მოასაფალტებული გზა დაზიანებულია. „ვიდრე „ხარაგაულკეთილმოწყობა" ამ პრობლემას არ მოაგვარებს, გარე განათების ქსელის მოწყობისთვის გამოყოფილი თანხა არ ჩაერიცხებათ" - განაცხადა ვარლამ ჭიპაშვილმა. დეპუტატმა საკრებულოს წევრებს ასევე, ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალი ოთხი სოფლის მოსახლეობის თხოვნა გააცნო და აღნიშნა, რომ ბაზალეთის მოსახლეობა მუნიციპალური ტრანსპორტის დანიშვნას ითხოვს.

ფრაქცია ,,ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარემ, ვარლამ (ტატო) თავზარაშვილმა სოციალური დახმარების დანიშვნასთან დაკავშირებით გაამახვილა ყურადღება. -„სოციალური დახმარების დანიშვნის კუთხით უთანასწორო მდგომარეობაა. პროგრამაში ცვლილებების შეტანამ, ქულების არასწორად დათვლამ ხარაგაულში მცხოვრებ დაუცველ მოსახლეობაზე მძიმედ იმოქმედა. ოჯახს, რომელსაც აქვს რაღაც ქონება ენიშნება სოციალური დახმარება და მეორეს ვისაც მართლა უჭირს ეხსნება. ეს ძალიან ცუდი ფაქტია და ზოგადად ცუდი მდგომარეობაა სოციალური დახმარების კუთხით. პრობლემებია ხე-ტყესთან დაკავშირებითაც. ხალხი ცხოვრობს ტყის პირას და არ აქვს საშუალება მოჭრას თუნდაც ერთი ხე. ჩვენ სასწრაფოდ უნდა მივხედოთ ამ საკითხებს."- განაცხადა ვარლამ(ტატო)თავზარაშვილმა.

სხდომის დასასრულს ვარლამ ჭიპაშვილმა ელენე პაქსაშვილის ოჯახის მდგომარეობის შესახებაც ისაუბარა. „მინდა გამოვეხმაურო გაზეთ „ჩემი ხარაგაულის" ვებ–გვერდზე გამოქვეყნებულ მასალას, რომელიც ეხება დაბაში მცხოვრებ ელენე პაქსაშვილის ოჯახის სოციალურ მდგომარეობას. მე პირადად დავინტერესდი ამ ოჯახის მდგომარეობით და ვითარებას ადგილზე გავეცანი. ვესაუბრე აღმასრულებელ ხელისუფლებას და უახლოეს დღეებში ეს ოჯახი გარკვეული სამშენებლო მასალით მომარაგდება. ასევე ოჯახმა მიიღო ერთჯერადი დახმარება 500 ლარის ოდენობით".

შენიშვნა: ვიდრე გაზეთი დაიბეჭდებოდა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლიდან მივიღეთ ინფორმაცია, რომ ელენე პაქსაშვილის ოჯახი, დროებით, ვიდრე მის სახლს გაამაგრებენ, უსაფრთხოების მიზნით გადაყვანილია ალტერნატიულ ფართში. ქირის გადასახადი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

მარიანა ბურჯალიანი

# დეპუტატებმა გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში დადებითად შეაფასეს



5 ოქტომბერს გამართულ საკრებულოს სხდომაზე, დეპუტატებმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში მოისმინეს და მის შესახებ იმსჯელეს. ანგარიში მათ სამსახურის უფროსმა, როინ გელაშვილმა გააცნო. საკითხთან დაკავშირებით, საკრებულოს თავმჯდომარე ინგა მაღრაძე დაინტერესდა ვის ბალანსზე ირიცხება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, 2003-2007 წლებში აშენებული ამბულატორიები. ასევე არის თუ არა რაიმე გეგმა შემუშავებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სტრატეგიული მნიშვნელობის შენობების დარეგისტრირებასთან დაკავშირებით.

როინ გელაშვილის განმარტებით აღნიშნული ამბულატორიები, ჯერჯერობით არავის ბალანსზე არ ირიცხება, მოგვიანებით იგი ან ჯანდაცვის სამინისტროს ბალანსზე უნდა დარჩეს ან მუნიციპალიტეტს გადმოეცეს. უახლოეს მომავალში გადაწყდება ეს საკითხი. რაც შეეხება სტრატეგიული მნიშვნელობის შენობებს, დასურათება გაკეთებულია, ინფორმაცია გადაგზავნილია ქონების სააგენტოში, სადაც უკვე ამ შენობების რეგისტრაცია მოხდება.

საკრებულოს სხდომაზე კიცხში სოფლის ე.წ. „ტერასების“ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის საკითხით დაინტერესდნენ. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილმა იკითხა, ამ ეტაპზე არის თუ არა რაიმე მონახაზი, რა ფორმით იქნება ეს ქონება გამოყენებული და ვისთვის იქნება ხელმისაწვდომი.

როინ გელაშვილის ინფრომაციით კიცხსა და ლახუნდარაში არსებული „ტერასები„სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეკუთვნოდა. ხოლო 2014 წელს ეს ქონება სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდა. ახლა უკვე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაა. არის მონახაზი, რომ შეიქმნას კოოპერატივი. მასში ის 40 ოჯახი იქნება გაწევრიანებული რომლებიც ამ „ტერასებით“ სარგებლობდნენ. ისინი, რა თქმა უნდა, მიიღებენ სარგებელს ამ მიწის ნაკვეთიდან, მაგრამ საერთო რეგულაციები მუნიციპალიტეტის მიერ იქნება დაწესებული.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, მანანა ბარბაქაძემ ყურადღება გაამახვილა დაზიანებულ წიგნებზე, რომელიც ხარაგაულის საბიბლიოთეკო გაერთიანების მიერაა ჩამოწერილი. „ამ წიგნების გადაცემას ითხოვს გაზეთი „კვირის პალიტრა“ და სანაცვლოდ ახალ წიგნებს გვთავაზობს. სამუშაო ძალიან ბევრია, გთხოვთ, ცოტა უფრო დავაჩქაროთ ამ საკითხის მოგვარება“- აღნიშნა მანანა ბარბაქაძემ.

დეპუტატი გოგი ლაცაბიძე გოლათუბნის ყოფილი დაწყებითი სკოლის შენობის მუნიციპალიტეტის ბალანსზე გადმოტანას ითხოვს და ქონების მართვის სამსახურს მიმართავს იმუშაონ ამ საკითხზე.

სამსახურის უფროსის, როინ გელაშვილის განმარტებით, ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია, მხოლოდ უნდა დასაბუთდეს რისთვის გვინდა ესა თუ ის ქონება, რომ ჩვენ, შემდეგ ქონების სააგენტოს კონკრეტული თხოვნით მივმართოთ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მუშაობის ანგარიში განსახილველად გადაცემული ჰქონდა ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიას. კომისიის თავმჯდომარის, შალვა ლურსმანაშვილის განცხადებით: „კომისიამ დადებითად შეაფასა აღნიშნული სამსახურის მუშაობა. ეს სამსახური კარგად ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას. მათ მიერ წარმოდგენილ ანგარიშში დეტალურად არის გაწერილი რა გააკეთეს ამ ერთი წლის მანძილზე და მათ მიერ ჩატარებული სამუშაოები ცოტა ნამდვილად არ არის.“

საბოლოოდ, დეპუტატებმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში დადებითად შეაფასეს.

მარიანა ბურჯალიანი

# საბავშვო ბიბლიოთეკაში სახალხო მთქმელ ნიკოლოზ წიკლაურთან შეხვედრა მოეწყო



8 ოქტომბერს ხარაგაულის საბავშვო ბიბლიოთეკაში მესამე საჯარო სკოლის პედაგოგის მერი გიორგიძის ინიციატივით, ამავე სკოლის მერვეკლასელები შეხვდნენ ხარაგაულის კულტურის ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელს, ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრის მსახიობს, სახალხო მთქმელს, ღირსების ორდენის კავალერს, ნიკოლოზ წიკლაურს შეხვდნენ. ღონისძიებას ესწრებოდნენ: გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი, ირინე ჩხეიძე; კულტურის ცენტრის დირექტორი, ვასილ კიკნაძე; მუსიკალური სკოლის დირექტორი ლალი ალექსიძე; საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე იუზა კელენჯერიძე; ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე ნანა ლურსმანაშვილი და ბატონი ნიკოლოზის სხვა მეგობრები.

ღონისძიებაზე, ბავშვებმა დამსწრე საზოგადოებას, სახალხო მთქმელის შემოქმედება გააცნეს. ხაზი გაესვა იმ გენს, რომლიდანაც მოედინება სახალხო მთქმელის ცხოვრებისეული სიბრძნით დატვირთული პოეზია. ღონისძიებაზე მოწვეული იყო სახალხო მთქმელი პედაგოგი ზინაიდა ნამგალაური. შთამბეჭდავად წარიმართა ბატონ ნიკოსა და ქალბატონი ზინაიდას კაფიაობა.

ღონისძიების დასასრულს, დამსწრე საზოგადოებამ თავიანთი ემოციები გამოხატა „დღევანდელი შეხვედრა ძალიან საინტერესო იყო. იმერეთისთვის კაფიაობა არაა დამახასიათებელი. ძალიან კარგია, რომ მთის ორი შვილი, ნიკოლოზ წიკლაური და ზინაიდა ნამგალაური, ასე კაფიაობენ ხარაგაულში. ნიკო გახლდათ ფოლკლორის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, ხვთისო წიკლაურის, შვილი. ბატონ ნიკოსთან მაქვს ყოველდღიური ურთიერთობა, იგი არა მერტო ნიჭიერი პოეტია არამედ ნიჭიერი მსახიობიც, რომელიც ერთნაირი სიძლიერით თამაშობს მთავარსა და მეორეხარისხოვან როლებს. ამჯერადაც სიხარული მოგვანიჭა ქალბატონმა მერი გიორგიძემ მან ნათლად წარმოჩინა ის სიყვარული, ის ტაქტი, რომელიც დამახასიათებელია მის ურთიერთობაში ხარაგაულის საზოგადოებასთან, მოსწავლეებთან და ამაღლებულ პოეზიასთან.“ - აღნიშნა გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა, ირინე ჩხეიძემ.

ნიკოლოზ წიკლაურმა, ულრმესი მადლობა გადაუხადა ქალბატონ მერი გიორგიძეს ამ შესანიშნავი დღისათვის. „ბედნიერი ვარ, რომ ასეთ სითბოს და სიყვარულს ვგრძნობ, არამარტო უფროსებისგან არამედ ბავშვებისგანაც. ამ ლამაზ და ნიჭიერ თაობას ერთი რამ მინდა ვუთხრა, გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა და გახდნენ წიგნიერნი.“

თამარ მაღრაძე

# „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ - მორიგი საქველმოქმედო აქცია ხარაგაულში

საერთაშორისო ასოციაციამ „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“, (ხელმძღვანელი მაია კვეზერელი-კოპაძე) ხარაგაულში, მორიგი საქველმოქმედო აქცია განახორციელა. მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ ინიციატივით საერთაშორისო ასოციაციამ ხარაგაულში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ, ერთ წლამდე ასაკის ბავშვებს, საკვები პროდუქტი „ჰუმანა“ გადასცა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტიდან საქველმოქმედო აქციაში 7 ბენეფიციარი ჩაერთო. ბავშვები, ვიდრე ერთი წლის ასაკს მიაღწევენ რეგულარულად მიიღებენ მათთვის საჭირო რაოდენობის საკვებ პროდუქტს „ჰუმანა“.

8 ოქტომბერს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, თემურ ჩხეიძემ და „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ ხელმძღვანელმა ეკა შავიძემ ბავშვების მშობლებს საკვები პროდუქტები პირადად გადასცეს.

შეგახსენებთ, რომ ასოციაციას „საქართველოს



ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ და „ჰუმანა ჯორჯიას“ უკვე ორი წელია გაფორმებული აქვთ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც „ჰუმანას“ პროდუქცია ასოციაციის სახელით შედის საავადმყოფოებში, ასევე მას იღებენ სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახები.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა მადლიერებას გამოხატავს აღნიშნული ორგანიზაციისა და მისი ხელმძღვანელის მაია კვეზერელის მიმართ იმ ქველმოქმედებისათვის, რასაც ხარაგაულში ახორციელებენ.

# ხარაგაულში ახალი საავადმყოფოს მშენებლობა იწყება



ხარაგაულში მრავალპროფილიანი, 15 საწოლიანი სტაციონარის მშენებლობა იწყება. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელ კობა ლურსმანაშვილის ინფორმაციით, 6 ოქტომბერს ჯანდაცვის სამინისტრომ კომპანია „მშენებელ 2004–თან“ ხელშეკრულება გააფორმა. ახალი მრავალპროფილიანი საავადმყოფოს მშენებლობა სახელშეკულებო ვადებით 2016 წლის ივლისის ბოლოს დასრულდება. სამშენებლო სამუშაოები უახლოეს დღეებში დაიწყება. საავადმყოფოს მშენებლობაზე 1 600 000 ლარი დაიხარჯება.

# 5 ოქტომბერს მასწავლებელთა საერთაშორისო დღე აღინიშნა



5 ოქტომბერი მასწავლებელთა საერთაშორისო დღეა. იგი იუნესკოს მიერ 1944 წელს დაფუძნდა და 100-ზე მეტ ქვეყანაში აღინიშნება. პედაგოგთა პროფესიული დღის აღსანიშნავად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კინოთეატრში პედაგოგებთან შეხვედრა მოეწყო. პედაგოგებს პროფესიული დღე მიულოცეს საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა, დავით კიკნაძემ, მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, გამგებლის მოადგილემ, პაატა გოგოლაძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ, ინგა მაღრაძემ, ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველების“ თავმჯდომარემ, იუზა კელენჯერიძემ და გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა, ირინე ჩხეიძემ. 25 დამსახურებული და 26 ღვაწლმოსილი პედაგოგი მადლობის სიგელებით დააჯილდოვა რესურსცენტრის ხელმძღვანელმა დავით კიკნაძემ და გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა.

შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის გამგებელმა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მიულოცა პედაგოგებს პროფესიული დღე და მადლობა გადაუხადა იმ დიდი შრომისათვის, რასაც მომავალი თაობის აღზრდა მოითხოვს. „მინდა, გამოვხატო უდიდესი პატივისცემა თითოეული თქვენგანის მიმართ. მახარებს, რომ ხარაგაული თავისი პედაგოგიური კოლექტივით და წარმატებული ახალგაზრდებით გამორჩეულია. ყოველივე მანიშნებელია თქვენი დიდი რუდუნებისა, თქვენი მუხლჩაუხრელი შრომისა. გასულ წელს ხარაგაულიდან ძალიან ბევრი აბიტურიენტი გახდა სტუდენტი. თქვენი შრომის შემფასებელი სწორედ ისაა, რომ თქვენ მიერ აღზრდილი მოსწავლეები ხდებიან სტუდენტები და დაფინანსების თვალსაზრისით მაღალი გრანტის მფლობელები. ეს დასაფასებელია და დამაგვირგვინებელია თქვენი ღვაწლისა იმ მოსწავლეების მიმართ, რომლებმაც სკოლიდან თქვენი სითბო და სიყვარული მიჰყვებათ. ხარაგაულმა ღირსეული თაობები აღუზარდა ჩვენს ქვეყანას და ვფიქრობ, თითოეულ მათგანში ჩადებული იყო ძალიან დიდი შრომა, ბევრი სიყვარული და ამან გამოიღო შედეგი. ვფიქრობ, ისეთი გამორჩეული კოლექტივი, როგორიც თქვენ ბრძანდებით ნამდვილად სანატრელი იქნებოდა ყველა მუნიციპალიტეტისათვის. როგორც ინტელექტის მატარებელი ადამიანები, რომლებმაც საზოგადოებაში უნდა შეიტანონ სინათლე ამ კუთხითაც მნიშვნელოვანი და წარმოჩენილი პიროვნებები ბრძანდებით. ამიტომ, ცხადია, ჩვენი საზოგადოების ჩამოყალიბებაში თქვენი როლი უმნიშვნელოვანესია. დღეს მოქმედ მასწავლებლებს ვესალმები დიდი სიყვარულით, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება მინდა, ღვაწლმოსილ პედაგოგებზე გავამახვილო. იმ ადამიანებზე, რომლებიც წლების განმავლობაში თაობების აღზრდით იყვნენ დაკავებული და მუნიციპალიტეტის სახელით მათ მადლობის სიგელები გადავცე. როდესაც ჩვენ დავასახელებთ საპატიო ხარაგაულელს, ერთ-ერთი აუცილებლად თქვენი რიგებიდან უნდა იყოს, ასე რომ, იაქტიურეთ და ერთად შევარჩიოთ საპატიო ღვაწლმოსილი ხარაგაულელი პედაგოგი.“

„თქვენ უმნიშვნელოვანესი როლი გაკისრიათ მომავალი თაობების აღზრდისათვის. ქვეყნის წარმატებაც და წარუმატებლობაც განათლებაზეა დამოკიდებული. ახლახან დავბრუნდი პოლონეთიდან და აღსანიშნავია, რომ პოლონელები ყველაზე დიდ თანხებს განათლებისთვის ხარჯავენ. საოცრად მოწესრიგებულია მათი სკოლის ინფრასტრუქტურა.

პედაგოგებს მიესალმა საკრებულოს თავმჯდომარე ინგა მაღრაძე: „ქვეყნის სიკეთე ნათელი გახდება მაშინ, როდესაც თქვენი სიკეთე იქნება დაფასებული. თქვენი წარმატების ჯილდო არის თქვენივე აღზრდილთა წარმატება, რაც უდაოდ ქვეყნის წარმატებაა. მინდა გისურვოთ საქმიანობა თავისუფალ, მშვიდ გარემოში, სადაც ნაკლებად იქნებით სხვა ყოფით პრობლემებზე დაკავებული და შესაძლებლობა გექნებათ საკუთარი შესაძლებლობის რეალიზებისა“-აღნიშნა შეხვედრაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ინგა მაღრაძემ.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, დავით კიკნაძემ მასწავლებელთა საერთაშორისო დღეზე ისაუბრა და პედაგოგებს პროფესიული დღე მიულოცა. „საქართველო არის იმ არმიის რიგებში რასაც მასწავლებელთა დიდი არმია ჰქვია. მინდა ყველა მასწავლებელს მივულოცო ეს ლამაზი დღესასწაული, ვუსურვო წარმატებები, კეთილდღეობა და, რაც მთავარია, ისეთი მომავალი თაობების აღზრდა, რომელიც ქვეყანას გამოადგება. დღეს ჩვენთან იმყოფებიან ის ღვაწლმოსილი პედაგოგები, რომლებმაც უდიდესი შრომა და ენერგია გაიღეს თაობების აღსაზრდელად, ასევე ახალგაზრდა პედაგოგები, რომლებსაც ყველაფერი ჯერ წინ აქვთ. ჩვენს სფეროში ხარაგაულიდან იყვნენ კორიფეები: ევგენი ხარაძე, გიორგი თავზიშვილი, გიორგი კიკნაძე, რომელიც განათლებისა და მეცნიერების მინისტრი იყო შვიდი წლის განმავლობაში. ხარაგაულში ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ სკოლების ინფრასტრუქტურა იყოს მოწესრიგებული, იყოს მაღალი განათლების დონე და მოსწავლემ სათანადო ცოდნა მიიღოს.“

ხარაგაულის კინოთეატრში მასწავლებელთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის (რეჟისორი ირინე ჩხეიძე) მიერ ნაჩვენები იქნა სპექტაკლი - „დარისპანის გასაჭირი“.

თამარ მაღრაძე

# სოციალურად დაუცველ ოჯახს „ქართული ოცნების“ წევრებმა საჩუქრად ტელევიზორი გადასცეს

5 ოქტომბერს „ქართული ოცნების“ ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ, მანანა ბარბაქაძემ, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, ვარლამ(ტატო) თავზარაშვილმა და „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის თავმჯდომარემ, თიკო ლურსმანაშვილმა თანხმლებ პირებთან ერთად ჯაფაროულში მცხოვრები თინათინ გლუნჩაძე მოინახულეს. თინათინს გადაადგილება არ შეუძლია, იგი საწოლსაა მიჯაჭვული და სოციალურად დაუცველია. პარტიის წევრებმა თინათინს საჩუქრად ტელევიზორი მიუტანეს, რომელიც ცოტა ხნის წინ, ხარაგაულში, მათი ორგანიზებით ჩატარებული საქველმოქმედო კონცერტიდან შემოსული თანხით შეიძინეს.



# აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175 წელი შესრულდა



2 ოქტომბერს საბავშვო ბიბლიოთეკაში აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175 წლისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. მასში №2 საჯარო სკოლის VI, VII და VIII კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. საღამოს ორგანიზება №2 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებმა ნაზი ჭიპაშვილმა და რუსუდან თაბაგარმა გაუკეთეს. ბავშვებმა წაიკითხეს აკაკის ბიოგრაფია, ლექსები, მოთხრობები, შაირები, აფორიზმები, ხატოვანი გამონათქვამები და მის დაწერილ ლექსებზე შექმნილი სიმღერები შეასრულეს. ღონისძიების დასასრულს, ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი, ნიკოლოზ მაჭავარიანი, დამსწრე საზოგადოებას აკაკის ღვაწლსა და მის შემოქმედებაზე ესაუბრა: „აკაკის უდიდესი ღვაწლია ის, რომ მიძინებული ქართველი ერი გამოაფხიზლა. მან თავისი წიგნიერებით და განათლებით შეძლო ეს ყოველივე. თქვენ ყველანი ძალიან კარგები ხართ და მჯერა, თქვენ იტვირთებთ იმ როლს, რომელიც დიდი ადამიანების პატრიოტული საქმეების გაგრძელება იქნება. ულრმესი მადლობა დღევანდელი საღამოსთვის და უამრავ წარმატებას გისურვებთ!“

მარიანა ბურჯალიანი

# კიცხში მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა განახლებული მემორიალი გაიხსნა



1 ოქტომბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხში იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის პირველმა მოადგილემ პაატა ნადირაძემ, გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ, ინგა მაღრაძემ მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალი გახსნეს. გახსნის ცერემონიალს ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და ნათესავები ესწრებოდნენ. სოფელში მემორიალი 1989 წლიდან არსებობდა, თუმცა ამ დრომდე მისი რეაბილიტაცია არ მომხდარა. მიმდინარე წელს კი „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში მემორიალის აღსადგენად 9800 ლარი გამოიყო. ახალი მემორიალი უფრო ხელსაყრელ ადგილას განთავსდა, დაფაზე მეორე მსოფლიო ომში დაღუპული 165 მებრძოლის სახელი და გვარია დატანილი.გახსნის ცერემონიალზე კიცხის უხუცესთა ანსამბლ „ოდილას" წევრებმა და ბორის საჯარო სკოლა-პანსიონის ანსამბლმა „მთიებმა“ ომის თემაზე შექმნილი სიმღერები შეასრულეს.

ეკა შავიძე

# ხარაგაულში ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე აღნიშნეს

1 ოქტომბერი ხანდაზმულთა საერთაშორისო დღეა. ამ დღეს საქართველოში 2003 წლიდან აღნიშნავენ. იმ დროიდან მოყოლებული ჩვენს ქვეყანაში ხანდაზმულთა დასაცავად არაერთი პროექტი და პროგრამა განხორციელდა. უფასო სასადილოები, სათნოების სახლები. პროექტი „სადილი ყველას“, რომელიც მარტოხელა ხანდაზმულთა უფასო კვებას ითვალისწინებს დღემდე წარმატებით ხორციელდება. ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე ხარაგაულშიც აღნიშნეს. ხარაგაულის ა(ა)იპ „სათნოების სახლის“ დირექტორმა, გიორგი ჩიჩილიძემ და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საფინანო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა მოხუცებს დღევანდელი დღე მიულოცეს და ჯანმრთელობა და დღეგრძელობა უსურვეს. „სათნოების სახლმა“, დღევანდელ დღესთან დაკავშირებით, ხანდაზმული ბენეფიციარები მოიწვია და მათ სადილით, ტკბილეულით და ხილით უმასპინძლა.



თამარ მაღრაძე

# ხარაგაულის ჯანდაცვის ცენტრმა პარაზიტებზე გამოკვლევის უფასო პროგრამა დაიწყო



საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორმა, შმაგი ხიჯაკაძემ, პარაზიტოლოგმა, ნინო ყიფშიძემ და თანაშემწე ნინო ღამბაშიძემ პარაზიტული ჭიებით დაინვაზირებულთა გამოვლენისა და მკურნალობის პროგრამის პირველი ეტაპი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 5 სოფელში კიცხში, ვარძიაში, ხიდარში, ზვარესა და წიფაში განახორციელეს.

ჯანდაცვის ცენტრის ინფორმაციით, მოსახლეობაში ასკარიდოზი და ენტერობიოზი ყველაზე გავრცელებული პარაზიტული დაავადებებია. სკოლამდელ და სკოლის ასაკის ბავშვები დიდი მიმღებლობით ხასიათდებიან ენტერობიოზის მიმართ.

პარაზიტული დაავადებების დროს ვითარდება: უმადობა, ვიტამინებისა და მინერალების ნაკლებობა, პრობლემები საჭმლის მომნელებელ სისტემაში, ჩამორჩენა ზრდასა და განვითარებაში.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამის მიზანია 2–9 წლის ასაკის ბავშვთა გამოკვლევა ენტერობიუსის ჭიის კვერცხის მატარებელზე. პარაზიტულ ჭიებზე სკოლის მოსწავლეების, პედაგოგების, მოსამსახურე პერსონალის და მოსახლეობიდან ნებისმიერ მსურველს გამოკვლევა შეიძლება. გამოკვლევის პარალელურად ხდება მოსახლეობის ინფორმირება პარაზიტული დაავადებების გავრცელების გზებზე, მკურნალობისა და პროფილაქტიკის შესახებ საუბრებითა და საინფორმაციო მასალის მიწოდებით. აღნიშნული, პროგრამა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელში განხორციელდება.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის შმაგი ხიჯაკაძის ინფორმაციით, გამოკვლევების პერიოდში სკოლებსა და ბაღებში ხდება ასევე პედაგოგების ინფორმირება იმ უფასო სამედიცინო დახმარებებზე, რასაც სახელმწიფო და ადგილობრივი პროგრამები ითვალისწინებს.

თეა ბერიძე,
მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში

# „გვერდი არ აუაროთ ამ სახლს!“

„წყალწითელას აღმართს რომ აივლით, საყდრის გვერდზე, მაღალჭერიან ლამაზ შენობას მოჰკრავთ თვალს. ამ სახლ-გამოფენის პატრონი გრძნეული კაცია, საუკუნის ხელოვანი - გივი ბრეგაძე.

გივი ბრეგაძის „მღვიმე“ მიქელანჯელოსა და ბოტიჩელის ეპოქასთან დაგაბრუნებთ მარტო შემოქმედის მაღალი თვითმყოფადი ნიჭით კი არა, მოთმინება - თვითგვემა-რუდუნების იმედით, სკრუპულოზურობის გრძნობა - განცდით, ხელოვნებისადმი თავის შეწირვის იმ შესაშური ტემპერამენტით, გარდასულ საუკუნეთა უკვდავ შვილებს რომ გააჩნდათ...

საქართველოს ღირსების შეცნობით დაინტერესებულო მგზავრო, გვერდი არ აუარო ამ სახლს!

გივი ბრეგაძეზე საუკუნეები იღაღადებენ...“

აი, ასეთ რჩევას გვთავაზობს ცნობილი მწერალი რევაზ მიშველაძე; გვთავაზობს, რომ ვიხილოთ საოცრება, რომ ერთხელ კიდევ დავრწმუნდეთ, თუ რა უკიდეგანოა უნარ-შესაძლებლობები ადამიანისა, როცა მასზე სისავსითაა „გადმოსული მადლი ზენა...“



დიახ, ეს არის სახლი, ეს არის კერა, რომლის კედლებშიც ცხოვრობდა უმშვენიერესი ქუთათური წყვილი: ექიმი, ხელოვანი, მწერალი გივი ბრეგაძე და მისი მუზა - მოზარდი თაობის სულების მძერწავი უსათნოესი ქალბატონი ლარინა არსენიშვილი...

ეს წყვილი უფლის განგებით იქცა ერთარსებად და როცა სულით ხორცამდე სწორფერი მეუღლე, გივი ბრეგაძე, 1997 წლის 13 ნოემბერს ზეციურ სამყაროს შეუერთდა, ქალბატონი ლარინას სუსტი მხრები შეუდგა ბურჯად „სიყვარულის სახლს“ (ამ ზუსტი შესატყვისის ავტორი ცნობილი ქუთაისელი პედაგოგი, აწ განსვენებული მაცაცო ლოსაბერიძეა. მარადიული მშვიდობა მის წმინდა სულს!)

ძვირფასო მკითხველო!

არ შეიძლება, მადლიერება არ გამოვხატო იმ ღირსეული პიროვნების მიმართ, რომლის ძალისხმევითა და ინიციატივით გივი ბრეგაძის „საოცრებათა სამყარო“ ნიჭიერების, ინტელექტისა და ჭეშმარიტი ხელოვნების დამფასებელ ქუთათურთა ნამდვილ ოაზისად იქცა. ეს მადლიანი ქართველი იმერეთის იმჟამინდელი გუბერნატორი თეიმურაზ შაშიაშვილია. სწორედ მისი თანადგომით ძალიან მძიმე 90-იან წლებში დაარსდა „გივი ბრეგაძის სალონი“, რომელიც სულ მოკლე დროში გახდა არა მარტო გივი ბრეგაძის შედევრთა დასათვალიერებელი სივრცე, არამედ კულტურულ ღონისძიებათა დიდი ცენტრი. აქ ეწყობოდა პოეზიის საღამოები, წიგნის განხილვები, ლიტერატურულ პერსონაჟთა გასამართლებები, ხელოვანთა შეხვედრები...

მინდა, რამდენიმე ამონარიდი შემოგთავაზოთ შთაბეჭდილებათა უამრავი წიგნიდან:

„თქვენ ბუნება „გადმოათარგმანეთ“ და ჩვეულებრივ მოკვდავთათვის გასაგები ენით აამეტყველეთ...“

„მინდა, მუხლი მოვიყარო თქვენი ნამუშევრების წინაშე და თაყვანი გცეთ. თქვენს საწერ მაგიდასთან ვზივარ და შთამაგონებელი მუზა საოცარ ხმებს გამოცემს. თქვენი საოცარი მარჯვენით შექმნილ ამ მაგიდაზე რომ მაწერინა, ჩემი შესაძლებლობები გაორმაგდება...“

„ბატონო გივი!

თქვენ ბედნიერი ადამიანი ბრძანდებით, თქვენი ნაკვალევი გაუძლებს საუკუნეებს. გასაოცარია - ერთ ადამიანში როგორ მოიყარა თავი მწერლის, ექიმის, ფილოსოფოსის, ხელოვანის ნიჭმა. თქვენ ბრძანდებით „ქუთაისის მინდია“, თქვენი ნამუშევრები ინახავს უდიდეს საიდუმლოს ქუთაისის გულში...“

მარტო უნიჭიერესი პოეტი ქალის, ლილი ნუცუბიძის, სტრიქონები რად ღირს:

„ეს ზღაპარია, თუ სინამდვილე,
თითქოს ცას ციურ ცვარით ეტიროს,
ვაი, თუ ახლა სული ადიდდეს,
მერე ჩემს კანში ვერ ჩავეტიო.
ჩვენებური ტყის სიომ მომბერა,
მწვანე ფოთლებით ამივსო კალთა,
ეს ბალადაა, თუ მზის პოემა -
ვდგავარ უცნაურ სამყაროს კართან.“

ათვალიერებ ამ ჯადოსანი ხელოვანის ნამუშევრებს და თითქოს ვერც იჯერებ, რომ ეს ყველაფერი მიწიერი ადამიანის ხელითაა შექმნილი...

ეცადეთ, რომ ეწვიოთ ამ სამყაროს და მსგავსი განცდა შეგიპყრობთ, როცა ნახავთ: „ბუნების მაგიდას“, „ურჩხულების როკვას“, „გედის აფრენას“, „გვირილებს“, შუქმფინარე ჭაღებს, მარგალიტებით, მალაქიტითა და სხვა ძვირფასი თვლებით მოოჭვილ უნიკალურ ჯვრებს...

ბატონ გივის თურმე არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ყველაზე დიდი პასუხისმგებლობითა და სიყვარულით ჯვრებზე მუშაობდა.

ბატონი გივი „სიტყვის ფუნჯით“ აჩუქურთმებდა თავის რომანებს. იგი ავტორია: „ბნედით შეპყრობილისა“ და „ცდუნებულის აღსარებისა“, რომლებშიც ღრმა ფილოსოფიური ხედვითაა დასურათებული ცხოვრებისეული სირთულეები, პერსონაჟთა სულიერი სამყარო.

***

ქალბატონ ლარინა არსენიშვილის ნაამბობიდან:

„გივის გარდაცვალების ხუთი წელი მინდოდა აღმენიშნა და მომეწვია მისი მიჭის დამფასებლები. მაგრამ ვღელავდი, ვისთვის მიმენდო მისი განვლილი გზის შესატყვისად წარმოჩენის მისია. როგორი მადლობელი ვარ, რომ ჩემი განცდა ბატონ თემურ შაშიაშვილს, გივის შემოქმედების დიდ დამფასებელს, გავანდე...

-ნუ ღელავ, ქალბატონო ლარინა, მე შეგახვედრებ ერთ უნიჭიერეს ხარაგაულელ ახალგაზრდა ქალბატონს, რომელიც ბრწყინვალედ გაართმევს თავს თქვენს სურვილს, - დამამშვიდა ბატონმა თემურმა.

...და გადაუჭარბებლად მინდა, გითხრათ, რომ იმ დღეს, 2002 წლის 15 ნოემბერს, ამ კედლებმა და აქ მოწვეულმა საზოგადოებამ ნამდვილი საოცრება იხილა ქალბატონი იზას სპექტაკლით „ბუნების დიდოსტატი“.

***

წლების შემდეგ, 2015 წლის 30 სექტემბერს, ამ საგაზეთო სტატიის ავტორი აღმოჩნდა იმ ბედნიერთა რიცხვში, რომელთაც იხილეს გივი ბრეგაძის „საოცრებათა სამყარო“, დატკბნენ იზა ვეფხვაძის ღვთიური ნიჭით გარდასახულ გივი ბრეგაძის ამაღლებულ ცხოვრებასთან შეხვედრით -სპექტაკლით „ბუნების დიდოსტატი“.

გივი ბრეგაძის ნიჭი, მისი შემოქმედებითი სამყარო რაღაც მაგიური ძალით აამეტყველა სიტყვის ხელოვნებამ და რაოდენ ამაყები და ბედნიერები ვიყავით იმ წუთებში ხარაგაულის საზოგადოების წარმომადგენლები: პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ნოდარ ებანოიძე, ღორეშის მემორიალური მუზეუმის დირექტორი ნინა ჯიბუტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მთავარი სპეციალისტი თეა ბერიძე, რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის ტექნიკური მენეჯერი ვანო ჭიპაშვილი, მუსიკალური გამფორმებელი დალი მერაბიშვილი, „ხარაგაულელი ქუთაისელი“ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის იმერეთის სამმართველოს უფროსი გოჩა გიორგიძე, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტი გიორგი მუხურაძე, მამუკა კიკნაძე.

არასოდეს დამავიწყდება სპექტაკლის შემდეგ ჩოხოსან რაინდთა დასის წევრის, ეკონომისტ ანზორ ბაბუხადიას, ემოციური მიმართვა იზასადმი: „რას გვერჩი, იზა მერამდენედ უნდა გვამყოფო შენი ორატორობის ტყვეობაში?!“

გივი ბრეგაძის შემოქმედებისა და სპექტაკლით მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ ისაუბრეს: ქუთაისის საკრებულოს ყოფილმა თავმჯდომარემ, ამირან ხვადაგიანმა, საპატიო ქუთაისელმა არჩილ მურღულიამ, ქუთაისის მერმა, შოთა მურღულიამ, რომელმაც განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ხელოვნების ამ დიდი კერის მნიშვნელობას არა მარტო ქუთაისის, არამედ სრულიად საქართველოსათვის, რომ მერია ყველაფერს გააკეთებს, რათა ეს სახლი გახდეს ხელოვანთა სულიერი სავანე.

სპექტაკლის წარმატებასთან ერთად იმ დღეს იზას სხვა დიდი სიხარულიც ეწვია. ის გახდა მონაწილე პროექტისა „ვეფხისტყაოსანს“ წერს საქართველო“. როგორც პროექტის ავტორმა, ქუთაისის საოჯახო მედიცინის რეგიონალური სასწავლო ცენტრის დირექტორმა, ექიმმა უროლოგმა, ქუთაისის საპატიო მოქალაქე მერაბ კვიცარიძემ აღნიშნა: „ეს პროექტი უკვე ორი წელია, დაიწყო. სწორედ ორი წლის წინ ჩემი სახლის აივანზე ერთ მშვენიერ დილას მომივიდა იდეა, შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა ქართველების ხელით ჩამეწერა და აგერ უკვე ორი წელია, წერენ გამოჩენილი ქართველები. პირველი სტროფი მწერალმა ჭაბუა ამირეჯიბმა ჩაწერა. წინასწარ არ ვიცი, ვინ იქნება შემდეგი. ის კი ვიცი, რომ ბოლო სტროფს ჩემი შვილი ჩაწერს.

დღეს ქალბატონ იზას 599-ე სტროფის ჩაწერამ მოუწია...

***

დაილოცოს, უფალო, შენი განგება! რა ნიჭს მიამადლებ შენს რჩეულს! სხვაგვარად ვერ აღიქვამ ბუნების იმ ხმებს, რომლებიც „ქუთაისელ მინდიას“, გივი ბრეგაძეს ჩაესმოდა, ვერ გაითავისებ მის ხელწერას; ნებისყოფის, რუდუნების იმ ძალას, რომლითაც მას უხმობდა ტყე, ზღვა, ოკეანე, ტბა თუ მდინარე - რომ მოეძიებინა, მოეგროვებინა ის საჭირო „მასალა“, რომელიც შემდეგ შემოქმედის ძალით გარდაისახებოდა ჯვრებად, გედებად, გვირილებად, ლარნაკებად, ჭაღებად; კედლების, მაგიდების, ბუხრის კომპონენტებად...

ძვირფასო მკითხველო!

როგორადაც არ უნდა ვეცადო, ვერანაირად ვერ შევძლებ სიტყვებით გადმოგცეთ ის შთაბეჭდილება, რაც გივი ბრეგაძის ღვთიურ შემოქმედებასთან შეხვედრით განვიცადე, რადგან „მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა!“

და ამიტომ ისევ მწერლისეულ „გზამკვლევს“ გთავაზობთ: „როცა წყალწითელას აღმართს აივლით... გვერდი არ აუაროთ ამ სახლს!“

მერი გიორგიძე

### მადლობა!

უამრავი კეთილი საქმის ინიციატორია ორგანიზაცია: „საქართველოს ქალები სიცოცხლისა და მშვიდობისათვის" (ხელმძღვანელი მაია კვეზერელი).

ეს ყველაფერი ქალის, დედის ხვალინდელ ბედნიერ დღეს უკავშირდება, რომ მათ მეტი შესაძლებლობა მიეცეთ, იმედიანად შეხედონ ცხოვრებას. ამჯერადაც ორგანიზაციამ, მისი გულისხმიერი ხელმძღვანელის წყალობით დიდი სიხარული არგუნა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ იმ ადამიანებს, რომეთაც გადაადგილება უჭირთ.

მათ შორისაა ბორითის ადმინისტრაციული ერთეულის ბენეფიციარი, რომლის ცხოვრებაც ამ ორგანიზაციამ უკეთესობისკენ შეცვალა. ვუერთდები ამ ადამიანთა სიხარულს და მათთა ნ ერთად დიდ მადლობას გამოვხატავ ამ დიდი ჰუმანური აქტის გამო.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,
ბორითის მაჟორიტარი დეპუტატი მანანა ბარბაქაძე

### დილის გათენება მიხარია... მადლობა თქვენ!..

დილის გათენება მიხარია... ტკბილი მოგონებებით გავყურებ სოფელ გოლათუბნის მთებს და მომავალზე ვოცნებობ... სიცოცხლის იმედით ცხოვრების გაგრძელება ადვილი ყოფილა, თუნდაც იმ მდგომარეობაში მყოფი ადამიანისათვის, მე რომ ვარ.

მძიმე დაავადების შედეგად ბარძაყის არეში მარჯვენა ფეხის ამპუტაცია გახდა საჭირო.

შიშის და წუწუნის უფლება თქვენ არ მომეცით და აი, მეც თქვენგან გამოგზავნილი ნაჩუქარი რბილი, კომფორტული ეტლიდან გიძღვნით მადლობას ადამიანებისადმი სიყვარულით გულგაჯერებულ კეთილ პიროვნებებს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს კობა ლურსმანაშვილს, საერთაშორისო ორგანიზაცია ,,საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" თავმჯდომარეს, მაია კვეზერელს, მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის დირექტორს, ეკა შავიძეს, ოჯახის ექიმს, ნინო ბუხნიკაშვილს, ქუთაისის „დიაბეტური ტერფის" კლინიკის დირექტორს, გიორგი დევიძეს, ენდოკრინოლოგს, ნანა ლევიძეს, რომ არა თქვენ, მე დღეს ცოცხალი არ ვიქნებოდი.

ჩემთვის ყოველი დღე დედის ლოცვით იწყება და ლოცვითვე მთავრდება. მიხარია, რომ ჩემი შვილების , შვილიშვილების თაობა ხართ, მათ გვერდში დგახართ და ცხოვრებას სერიოზული, დინჯი ნაბიჯებით მიუყვებით, ვთესათ სიკეთეს და ვიმკით ადამიანებისაგან ნდობასა და სიყვარულს.

ჩვენი სიცოცხლე თქვენს ხელთაა, ვამაყობ თქვენით!

უფალი იყოს თქვენი მფარველი!

სიყვარულითა და პატივისცემით
ჟუჟუნა ჩიტაძე

## „მხიარულ სტარტებში" გამარჯვებული გამგეობის გუნდი გახდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ინიციატივით „მხიარული სტარტები" ამჯერად ორგანიზაციებს შორის გაიმართა.

„მხიარულ სტარტებში" ოთხი გუნდი მონაწილეობდა: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრი, კულტურის ცენტრი და მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრი.

პროექტის იდეის ავტორის ხათუნა ტაბატაძის ინფორმაციით, გუნდები გენდერულად დაბალანსებული იყო და მასში 4 ბიჭი და 4 გოგო თამაშობდნენ.

ნახევარფინალში ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრისა და მუნიციპალიტეტის გამგეობის გუნდები გადავიდნენ. ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალურმა ცენტრმა ტურიზმის ცენტრი 48:39 დაამარცხა. გამგეობის გუნდმა კი კულტურის ცენტრთან 50:38 გაიმარჯვა. რაც შეეხება გამარჯვებულს ფინალში გამგეობის გუნდმა სპორტის განვითარებისა და მართვის ცენტრს 66:65 მოუგო. მესამე ადგილზე კი ტურიზმის სამსახური გავიდა. კულტურის სამსახურამა გამარჯვებულებს ფასიანი საჩუქრები გადასცა.



თამარ მაღრაძე

## საქართველოს მოხალისეებმა ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე აღნიშნეს

1 ოქტომბერს ხარაგაულში „საქართველოს მოხალისეებმა" ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე აღნიშნეს. ღონისძიების ფარგლებში მათ ბაზალეთში მცხოვრები 100 წლის ქეთევან თხელიძე მოინახულეს და ტკბილეული მიართვეს. პროექტის მხარდამჭერი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სათნოების სახლი" და ბაზალეთის მაჟორიტარი დეპუტატი ვარლამ ჭიპაშვილი იყვნენ. ქალბატონ ქეთევანს მოხალისეებთან ერთად, ნადაბურის მაჟორიტარი დეპუტატი მიხეილ გელაშვილი სტუმრობდა.

ქეთევან თხელიძემ აღნიშნა, რომ ძალიან სასიამოვნოა, როცა ადამიანებს ახსოვხარ. „ბედნიერი ვიქნები თუ კიდევ ერთხელ მეწვევით. მე მაქვს თქვენი - ხარაგაულელების იმედი". ქალბატონი ქეთევანი ტკბილად გვესაუბრა განვლილ ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. დაგვლოცა და წარმატებები გვისურვა. დამშვიდობებისას სამახსოვრო ფოტოც გადავიღეთ.

მხარდაჭერისთვის პროექტ „საქართველოს მოხალისის" ხარაგაულის კოორდინატორები მადლობას უხდიან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სათნოების სახლის" დირექტორს გიორგი ჩიჩილიძესა და მაჟორიტარ დეპუტატს ვარლამ ჭიპაშვილსა და მიხეილ გელაშვილს.

თამარ მაღრაძე

## ხარაგაულელ მოხალისეებს მუნიციპალიტეტის გამგეობამ მაისურები გადასცა

8 ოქტომბერს „საქართველოს მოხალისეების" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კოორდინატორები და ხარაგაულელი „მოხალისეები" მუნიციპალიტეტის გამგებელს, კობა ლურსმანაშვილს შეხვდნენ. შეხვედრაზე, ხარაგაულელმა მოხალისეებმა სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

პროექტ „საქართველოს მოხალისეების" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კოორდინატორების თამარ მაღრაძისა და თამარ კამკამიძის ინფორმაციით, ახლო მომავალში სხვადასხვა აქტივობა იგეგმება, რომელთა განხორციელებაში მათ ადგილობრივი ხელისუფლება აქტიურად უჭერს მხარს.

## პროექტი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 ივლისის #26 დადგენილების ,, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ბათილად გამოცხადების თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-601 --ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-7 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის საფუძველზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. ბათილად იქნეს ცნობილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 ივლისის #26 დადგენილება ,, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ( საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებ გვერდი 08/07/2015) მისი ძალაში შესვლის დღიდან.

მუხლი 2. ,დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მთავარი სპეციალისტი ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში

ა) უზრუნველყოფს საკრებულოს, საკრებულოს თავმჯდომარის და საკრებულოს თანამდებობის პირთა მატერიალურ – ტექნიკურ უზრუნველყოფას კომპეტენციის ფარგლებში;

ბ) ახორციელებს ღონისძიებებს საჯარო მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობისათვის საჭირო საოფისე მომსახურების უზრუნველსაყოფად;

გ) ახორციელებს ღონისძიებებს საკრებულოს ინვენტარის და მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის, შენახვის, რაციონალურად გამოყენებისა და დაცვისათვის;

დ) ორგანიზებას უწევს საინჟინრო კომუნიკაციების, მოწყობილებების, ენერგო მომარაგების და სატელეფონო ქსელის გამართულ მუშაობას;

ე)ასრულებს საკრებულოს, საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს აპარატის უფროსის დავალებებს.

მთავარი სპეციალისტი კომპიუტერული უზრუნველყოფის, ვებ-გვერდის ადმინისტრირებისა და ინფორმაციის მართვის, საჯარო ინფორმაციის საკითხებში.

1. უზრუნველყოფს საკრებულოში კომპიუტერული ტექნიკის შეუფერხებელ მუშაობას;
2. უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატის საჭირო მასალების სისტემატიზირებასა და შენახვას;
3. კონსულტაციას უწევს აპარატის თანამშრომლებს კომპიუტერული ტექნიკისა და თანამედროვე პროგრამული საშუალებების ეფექტურად გამოყენების მიზნით;
4. უზრუნველყოფს საკრებულოს ვებგვერდის სისტემატურ განახლებას;
5. უზრუნველყოფს საკრებულოს ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების პროექტების ატვირთვას (განკარგულებები, ბრძანებებისა) და საჯარო ინფორმაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებას.
6. ასრულებს საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს სხვა თანამდებობის პირების და აპარატის უფროსის სამსახურებრივ დავალებებს.

საკრებულოს თავმჯდომარე
ინგა მაღრაძე

## 12,10, 2015 წელი პროექტი დადგენილება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 04 მაისის N20 დადგენილებაში

,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ

და მძიმე ეკონომიური პირობების მქონე მოქალაქეებზე მატერიალური დახმარების გაცემის

წესის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე–20 მუხლის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი1. შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 04 მაისის N20 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიური პირობების მქონე მოქალაქეებზე მატერიალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ " (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებ. გვერდი 07/05/2015)

1. შეტანილ იქნეს ცვლილება დადგენილებით დამტკიცებული N1 დანართის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, ა) ოპერაციის ან სამედიცინო მომსახურებისთვის _ 700 ლარამდე".

2. შეტანილი იქნეს ცვლილება დადგენილებით დამტკიცებულ N1 დანართის მე-5 მუხლის პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, 1. განიხილოს მოქალაქეთა განცხადებები თანდართული დოკუმენტაციით და მიიღოს

გადაწყვეტილება დახმარების გაწევაზე იმ პირთა სასარგებლოდ, რომლებიც

რეგისტრირებულნი არიან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საჭიროებენ

სამედიცინო ან ფინანსურ დახმარებას. გამონაკლის შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება ბენეფიციარისათვის დახმარების ორმაგი ოდენობით გაცემის შესახებ, თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმეა სიცოცხლისათვის საშიშს წარმოადგენს.

მუხლი 2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ინგა მაღრაძე

## პროექტი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61- ე მუხლის მეორე პუნქტისა და 88-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საკრებულოს

წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესი, დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

დანართი№1

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საკრებულოს წევრების მიერ

მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესი

მუხლი 1.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის (შემდგომში – მუნიციპალიტეტი) გამგებლისა და საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესი (შემდგომში – წესი) არეგულირებს მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საკრებულოს წევრების მიერ ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრის მოწყობის საკითხებს.

მუხლი 2.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი და საკრებულოს წევრები ვალდებული არიან წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, საჯარო შეხვედრები მოაწყონ ამომრჩევლებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მუხლი 3.

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ანგარიშის ტექსტი, აპარატში რეგისტრაციიდან, საკრებულოს აპარატის მიერ, ხოლო გამგებლის ანგარიშის ტექსტი, გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურში რეგისტრაციიდან, ადმინისტრაციული სამსახურის მიერ ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე www.kharagauli.ge და ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის" მეშვეობით ან მუნიციპალიტეტში მოქმედ მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებით 10 დღის ვადაში

2.მუნიციპალიტეტის გამგებლის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საჯარო შეხვედრის შესახებ ცნობა ანგარიშის წარდგენის დღე, ადგილი და საათი) საკრებულოს აპარატის მიერ ხოლო გამგებლის ანგარიშის წარდგენის დღე, ადგილი და საათი გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე ჭჭჭ. კჰარაგაული.გე და ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის" მეშვეობით ან მუნიციპალიტეტში მოქმედ მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებით შეხვედრის ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე.

მუხლი 4.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი და საკრებულოს წევრები საჯარო შეხვედრაზე ანგარიშს წარადგენენ წერილობითი სახით. ანგარიშის წარდგენისას დასაშვებია აუდიო, ვიდეო და კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება და მედიის წარმომადგენლების მოწვევა.

მუხლი 5.

საჯარო შეხვედრაზე ანგარიშის სხდომის მიმდინარეობისას ფორმდება შესაბამისი ოქმი.

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის გამგებელი და საკრებულოს წევრები ვალდებული არიან საჯარო შეხვედრის დროს ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

მუხლი 7.

საჯარო შეხვედრა შეიძლება ჩატარდეს მუნიციპალიტეტის სხდომათა დარბაზში ან სხვა საჯარო სივრცეში, ასევე შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში, რასაც ურთიერთშეთანხმებით უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი ან გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური.

მუხლი 8.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველს უფლება აქვს,შეუზღუდავად დაესწროს გამართულ საჯარო ანგარიშების განხილვას, ანგარიშის წარდგენის შემდეგ, უფლება აქვთ დასვან შეკითხვები, გამოთქვან შენიშვნები და წინადადებები, შეაფასონ მომხსენებლის საქმიანობა.

**გამომცემელი** ა(ა)იპ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25; ტირაჟი 1000 ცალი
**დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12**